

(1998)

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1150 (1998)

1998 წლის 30 იანვარი

უშიშროების საბჭო,

ეყრდნობა რა თავის შესაბამის რეზოლუციებს, ადასტურებს რა, კერძოდ, 1997 წლის 31 ივლისის 1124 რეზოლუციას და ეყრდნობა რა თავისი თავმჯდომარის 1997 წლის 6 ნოემბრის განაცხადს (S/PRST/1997/50),

განიხილა რა გენერალური მდივნის 1998 წლის 19 იანვრის მოხსენება (S/1998/51),

მხარს უჭერს რა გენერალური მდივნისა და მისი სპეციალურ წარმომადგენლის ენერგიულ ძალისხმევას სამშვიდობო პროცესის წინ წასაწევად, რაც მიმართულია კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მისაღწევად, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის ჩათვლით, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, და აგრეთვე გენერალური მდივნის მეგობრებისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) დახმარებით,

აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით 1997 წლის 19 ნოემბერს შენევაში მიღებული დასკვნითი განცხადების დიდ მნიშვნელობას, რომელშიც ორივე მხარე მიესალმა, კერძოდ, გენერალური მდივნის წინადადებას სამშვიდობო პროცესში გაეროს მონაწილეობის გააქტიურებაზე, მოიწონა მოქმედებათა პროგრამა და დააწესა მისი განხორციელების მექანიზმი,

კვლავ ადასტურებს მხარეების მიერ ადამიანის უფლებათა მკაცრი დაცვის აუცილებლობას, გამოხატავს, რომ მხარს უჭერს გენერალური მდივნის ძალისხმევას, ეპიოს მდგომარეობის გაუმჯობესების გზები ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მისაღწევად მათი, როგორც საქმიანობის განუყოფელი ნაწილის, დაცვით და აღნიშნავს ახალ ელემენტებს აფხაზეთში, საქართველო, გაეროს ადამიანის უფლებათა განყოფილების მუშაობაში,

არის ღრმად შეშფოთებული იმით, რომ გალის რაიონში უსაფრთხოების მხრივ არასტაბილური და დაძაბული ვითარებაა, რაც ხასიათდება ნაღმების ჩადებით, სისხლის სამართლის დანაშაულობათა რიცხვის ზრდით, ადამიანთა გატაცებისა და მკვლელობის ჩათვლით და რაც განსაკუთრებით სერიოზულია, შეიარაღებული ჯგუფების ძირგამომთხრელი საქმიანობის მნიშვნელოვანი გაფართოებით, რაც გრძელდება და შლის სამშვიდობო პროცესს, აბრკოლებს კონფლიქტის მოწესრიგებასა და ლტოლვილთა დაბრუნებას, აქედან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით, ადგილობრივი მოსახლეობის, ამ რაიონში დაბრუნებული ლტოლვილებისა და ადგილობრივი პირების, დამხმარე თანამშრომლების, საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის პერსონალისა და კოლექტიური სამშვიდობო ძალების (დსთ) დაცვისა და უსაფრთხოების საქმეს,

ამასთან დაკავშირებით მიესალმება წვლილს, რომელიც საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიამ და დსთ-ს სამშვიდობო ძალებმა შეიტანეს კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში, აღნიშნავს, რომ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების თანამშრომლობა ეფექტიანია და ვითარდება, და ხაზს უსვამს დამკვიდრებული მჭიდრო თანამშრომლობის და მათ შორის კოორდინაციის დიდ მნიშვნელობას მათი შესაბამისი მანდატების განხორციელების საქმეში,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1998 წლის 19 იანვრის მოხსენებას.

2. კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ შესრულებულია სამშვიდობო პროცესში არსებითი პროგრესის მისაღწევად დიდი მოსამზადებელი აუცილებელი სამუშაო, მაგრამ კვლავ აცხადებს, რომ ღრმად შეშფოთებული იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული არსებითი პროგრესი აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების საკვანძო საკითხებში.

3. ჯეროვნად აფასებს მხარეთა კონსტრუქციულ მიდგომას 1997 წლის 17-19 ნოემბრის შენევის შეხვედრაზე, რომელიც მათ გამოავლინეს, ამასთან დაკავშირებით მიესალმება საკოორდინაციო საბჭოს შექმნას და მის ფარგლებში გენერალური მდივნის საგანგებო დესპანის თავმჯდომარეობით გამარ-

თულ სამუშაო ჯგუფების პირველ სხდომებს და ხაზს უსვამს ამ ორგანოთა ეფექტიანი მუშაობის დიდ მნიშვნელობას მოწესრიგების საქმეში პროგრესის ხელშეწყობის მიზნით.

4. ხაზს უსვამს, რომ სამშვიდობო პროგრესის გააქტიურებისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა თავად მხარეებს ეკისრებათ და შეახსენებს მათ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მათი დახმარების შესაძლებლობა დამოკიდებულია მათსავე პოლიტიკურ ნებაზე, დიალოგისა და ურთიერთდამოხმობის საფუძველზე მოაგვარონ კონფლიქტი და რამდენად რეალური იქნება კონფლიქტის ყოვლის მომცველი მოწესრიგებისაკენ გადადგმული მათი ნაბიჯები უსწრაფესი შეთანხმებებისა და შესაბამისი დოკუმენტების ხელმოწერის მეშვეობით.

5. კვლავ ადასტურებს იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რასაც იგი ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის კიდევ უფრო გააქტიურებას სამშვიდობო პროცესში, მოუწოდებს გენერალურ მდივანს და მის საგანგებო დესპანს გააგრძელონ თავიანთი ძალისხმევა რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, გენერალური მდივნის მეგობრების ჯგუფის და ეუთოს დახმარებით და მოუწოდებს მხარეებს მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობისაკენ ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევის მიზნით.

6. მოუწოდებს მხარეებს გააგრძელონ პირდაპირი დიალოგი, გააქტიურონ მშვიდობიანი გადაწყვეტილების ძიება უშუალო კონტაქტების შემდგომი გაფართოების გზით და სთხოვს გენერალური მდივანს, გაუწიოს ყოველგვარი დახმარება, თუ მხარეები მიმართავენ შესაბამისი თხოვნით.

7. შეახსენებს ეუთოს ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრის (S/1997/57 დანართი) დასკვნებს აფხაზეთში, საქართველო, ვითარების შესახებ, და კვლავ ადასტურებს, რომ დაუშვებელია დემოგრაფიული ცვლილებები კონფლიქტის შედეგად და ადასტურებს ასევე, რომ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ყველა ლტოლვილს და აგილნაცვალ პირს უფლება აქვს დაუბრუნდეს თავის მშობლიურ ადგილებს უსაფრთხოების პირობებში საერთაშორისო სამართლისა და ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების (S/1997/397 დანართი) დებულებათა შესაბამისად.

მოუწოდებს გენერალურ მდივანს მხარეებთან თანამშრომლობის გზით გადადგას ისეთი ნაბიჯები, როგორც საჭირო გახდება მშობლიურ ადგილებში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო და სწრაფი დაბრუნების უზრუნველსაყოფად და ხაზს უსვამს ამ სფეროში პროგრესის გადაუდებელ აუცილებლობას, კერძოდ, აფხაზეთის მხარის მიერ.

8. მოუწოდებს მხარეებს უზრუნველყონ ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების სრული განხორციელება.

9. გმობს გალის რაიონში შეიარაღებული ჯგუფების საქმიანობის გააქტიურებას, ნაღმების ჩადების ჩათვლით, რაც კვლავ გრძელდება და მოუწოდებს მხარეებს სრულად დაიცვან თავიანთი ვალდებულება, მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომა, თავიანთი ძალისხმევით კოორდინაცია ამგვარ მოქმედებათა აღსაკვეთად და ყოველმხრივ ითანამშრომლონ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასთან და დსთ სამშვიდობო ძალებთან გაეროს, დსთ-ს სამშვიდობო ძალებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მთელი პერსონალის უსაფრთხოებისა და თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

10. მიესალმება უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესების მიზნით გადადგმულ დამატებით ნაბიჯებს, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საფრთხე საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის პერსონალისათვის და შეიქმნას მისი მანდატის ეფექტიანი შესრულების პირობები და დაბეჯითებით მოუწოდებს გენერალურ მდივანს კვლავ გააგრძელოს ღონისძიებები ამ მიმართულებით.

11. ადგენს გაუგრძელდეს მანდატი საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიას შემდგომი პერიოდით, რომლის ვადა 1998 წლის 31 ივლისს იწურება, იმ პირობით, თუ საბჭო დაუბრუნდება საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატის განხილვას, თუ რაიმე ცვლილება მოხდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატში.

12. მოუწოდებს შეიტანონ დამატებითი სახსრები იმ პირთა საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ კონფლიქტით აფხაზეთში, საქართველო, კერძოდ, ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალი პირები, მათ შორის შენატანები მოსკოვის შეთანხმების მხარდაჭერის ნებაყოფლობით ფონდში და/ან ჰუმანიტარული ასპექტების მხარდასაჭერად, განაღმების ჩათ-

ვლით, როგორც ამას დონორები განსაზღვრავენ; სთხოვს გენერალურ მდივანს განიხილოს აფხაზეთის, საქართველო, ეკონომიკის აღდგენისათვის გამიზნული ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაცემის საკითხი მას შემდეგ, რაც წარმატებით დასრულდება პოლიტიკური მოლაპარაკებები და მიესალმება მოთხოვნილებების შეფასების თაობაზე მისი დაგეგმვას;

13. სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს საბჭოს რეგულარული ინფორმირება და ამ რეზოლუციის მიღებიდან სამი თვის შემდეგ წარუდგინოს მას მოხსენება აფხაზეთში, საქართველო, სიტუაციის, მათ შორის საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის ოპერაციების შესახებ, ამ მოხსენებაში ჩართოს რეკომენდაციები გაეროს ყოფნის ხასიათის შესახებ და ამასთან დაკავშირებით ამჟღავნებს თავის განზრახვას ჩაატაროს ოპერაციის გულდასმით მიმოხილვა მისი მიმდინარე სამანდატო პერიოდის ბოლოს.

14. ადგენს აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ საკითხზე.

www.un.org/docs საკუთარი თარგმანი)